ოქმი N13

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი 2015 წლის 10 ნოემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 35

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 26 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ე. წურწუმია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

აზრი გამოთქვეს: რ. გვარამია - გამომსვლელი დაინტერესდა, რომ დანართში მითითებული თანხები ტრენერის მომსახურების ხარისხის მიხედვით არის განსაზღვრული თუ არა?

ზ. ბუკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ 4-5 სასწავლო ცენტრს დაუკავშირდნენ და თანხა შემოთავაზებულ იქნა 300-დან 900 ლარამდე. ადმინისტრაციული სამსახური დაუკავშირდა რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტს და შეჯერება მოხდა, ერთ საჯარო მოხელეზე 400 ლარით დაფინანსების თაობაზე, ამ თანხაში შედის ტრენერის და სავარაუდოდ დარბაზის დაქირავების თანხა, მგზავრობის თანხა ამაში არ შედის.

მ. ლაგვილავა - გამომსვლელი დაინტერესდა, მუნიციპალიტეტის მიერ შერჩეული საჯარო მოხელეების გარდა, სხვა საჯარო მოხელეს, რომ გაუჩნდეს სურვილი ტრენინგზე დასწრების, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა საკუთარი სახსრებით აენაზღაურებინა ხარჯები და დასწრებოდა ტრენინგებს?

ზ. ბუკია - გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებული პირი თვითონ უნდა დაუკავშირდეს ტრენერს და უნდა შეუთანხმდეს დასწრებასთან დაკავშირებით

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს (შ. სირაძე) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით

შ. სირაძე - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად გამგეობის მიერ მომზადდა მუნიციპალიტეტის წლიური სასწავლო გეგმა, რომელიც წარმოადგენს მოხელეების სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზების ძირითად დოკუმენტს და რომელიც განსაზღვრავს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მოხელეთა სწავლების პრიორიტეტულ მიმართულებებს, მოხელეთა რაოდენობას, აგრეთვე სწავლების ორგანიზების სხვა ძირითად საკითხებს. მუნიციპალიტეტი ახორციელებს მოხელეთა სწავლების საჭიროებების იდენტიფიცირებას; შეიმუშავებს მუნიციპალიტეტის წლიურ სასწავლო გეგმას; უზრუნველყოფს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი

თვითმმართველობის კოდექსის“ 101-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სახსრების გონივრულ განაწილებას შესაბამის მიმართულებებში მოხელეთა სწავლებისათვის და უზრუნველყოფს სწავლების მომსახურების შესყიდვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მოხელეთა სწავლების საჭიროებათა კვლევისა და სისტემატიზაციისათვის მუნიციპალიტეტის წლიური სასწავლო გეგმა არაუგვიანეს ყოველი წლის 10 ნოემბრისა იგზავნება სსიპ – ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრში და საჯარო სამსახურის ბიუროში. აღნიშნულის გათვალისწინებით ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა 2016 წლის სასწავლო გეგმა და შედგა ტრენინგ-საჭიროებათა განსაზღვრისთვის განკუთვნილი მონაცემთა ბაზები, რაზედაც მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ე. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N56 ოქმს თან ერთვის)

კენჭისყრის დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა საკრებულოს და გამგეობის მიერ ერთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ მოსახლეობისთვის ანგარიშის ჩაბარებასთან დაკავშირებით და აღნიშნა,რომ ამ ანგარიშთან დაკავშირებით მომზადებულია ვიდეორგოლი განხორციელებული პროექტების შესახებ. მადლობა გადაუხადა მათ ვინც მონაწილეობა მიიღო ამ ვიდეორგოლის შექმნაში და მიმართა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას სურვილის შემთხვევაში საკრებულოს აპარატი უზრუნველყოფდა მათთვის ამ ვიდეოჩანაწერის მიწოდებას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა მისცა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატების“ თავმჯდომარეს (ლ. ქავთარაძე) რომელიც წინასწარ იყო ჩაწერილი სხდომაზე განცხადებისთვის

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა ისაუბრა მუნიციპალიტეტში განხორციელებულ და განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით და გულისტკივილი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ არცერთი ტელევიზია სრულყოფილად არ აშუქებს მუნიციპალიტეტში განხორციელებულ გრანდიოზულ პროექტებს. ასევე ისაუბრა სარეკლამო ბანერებთან დაკავშირებით, მისი განცხადებით არიან დაინტერესებული პირები, რომელთაც სურვილი აქვთ განათავსონ სარეკლამო ბანერები, თუმცა მუნიციპალიტეტში ამ საკითხის რეგულირება შესაბამისი აქტით არ ხდება, რაც პრობლემას უქმნის დაინტერესებულ პირს. ყურადღება გაამახვილა ქალაქის ცენტრში განთავსებულ ბანერზე, სადაც ღვთისმშობლის კვართია გამოსახული, რომელიც დაზიანებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას, ასევე ისაუბრა ქალაქის ცენტრში მისაბმელიანი ავტომანქანების გაჩერებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ისედაც პატარა ცენტრი აქვს ქალაქს და ამ მანქანების გაჩერებით უშნოვდება ქალაქის იერსახე და შემოვიდა წინადადებით შესაბამისი სამსახურების მხრიდან მოძიებულ იქნეს ადგილი, სადაც მოხდება მანქანების პარკირება. ასევე შეეხო ქალაქში არსებული საკანალიზაციო ჭის თავსახურის მოუწესრიგებლობის საკითხს და აღნიშნა, რომ ეს საკითხი მანამ უნდა მოგვარდეს, სანამ სავალალო შედეგი არ გვექნება. დასასრულს სთხოვა გამგეობის შესაბამის სამსახურებს, რათა ზემო აღნიშნული შენიშვნები გათვალისწინებულ იქნეს და დროულად მოხდეს მათი გამოსწორება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მესამე მოწვევის საკრებულოს 2015 წლის 10 ნოემბრის რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. შოთა სირაძე
7. თენგიზ აბაკელია
8. თემურ გულუა
9. მალხაზ ლაგვილავა
10. როსტევან გვარამია
11. ვასილ კუკავა
12. ლევან ქავთარაძე
13. ლაშა ცატავა
14. ლეონიდე ლოლუა
15. მზია ლემონჯარია
16. შადიმან ჭილაია
17. ჯემალ ნადარაია
18. დიანა გულუა
19. გიორგი ხურცილავა
20. მერაბ ფილიპია
21. ედიშერ წურწუმია
22. ბეჟან ქირია
23. ფრიდონ შონია
24. კახა მიქაბერიძე
25. გენადიზარანდია
26. მალხაზ ყურუა